„ვამტკიცებ”

საქართველოს ჭიუდოს ეროვნული
ფედერაცია

_____

15 აგვისტო 2024 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

2008-2009 წლებში დაბადებულთა სარეიტინგო ტურნირი 3

2024 წელი
21-22 სექტემბერი
თბილისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2008-2009 წლებში დაბადებული ძიუდოისტები, რომელთაც შესარჩევ შეჯიბრებებში მოიპოვეს სარეიტინგო ტურნირში ასპარეზობის ლიცენზია.
- შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია საწევრო გადასახადის 100 (ასი) ლარის ჩარიცხვა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საბანკო ანგარიშზე. რის შემდეგაც ძიუდოისტს უფლება ექნება მონაწილეობა მიიღოს ძიუდოს ფედერაციის მიერ წლის განმავლობაში ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში (შეჯიბრება, სემინარი, შეკრება, გამოცდა და სხვ.). დამატებითი ინფორმაცია დოკუმენტაციის სახით შეგიძლიათ იხილოთ დანართში.

- დებულება საწევროს შესახებ
  კალენდარი
  საწევროს სარეგისტრაციო ფორმა
  საბანკო ანგარიში - საქართველოს ბანკი.
  მიმღების დასახელება - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია.
  ბანკის კოდი - **BAGAGE22**
  მიმღების ანგარიშის ნომერი - **GE55BG0000000121179301**

IV. შეჯიბრების ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის შემდეგ.
- შეჯიბრება ჩატარდება 2024 წლის 21-22 სექტემბერს თბილისში, ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- ჩამოსვლის დღე – 20 სექტემბერი, წასვლის დღე – 23 სექტემბერი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 10:00 საათი.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო);
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 8 წონით კატეგორიაში:
  -50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, -81კგ, -90კგ, +90კგ;
  21 სექტემბერი: -50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ;
  22 სექტემბერი: -73კგ, -81კგ, -90კგ, +90კგ.

VI. აწონვა

თბილისი, ძიუდოს აკადემია. ბელიაშვილის 38.
აწონვები ჩატარდება წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების წინა დღეს.
20 სექტემბერი: -50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ;
21 სექტემბერი: -73კგ, -81კგ, -90კგ, +90კგ.
არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათამდე;
ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

VII. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VIII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:
საკონტაქტო პირი – 577994407 ზურაბ უსუფაშვილი.
ფინანსური საკითხები: 577994420 ინგა რაზმაძე, 558132632 ქეთი მიხელიძე.

P.S.

- ძიუდოისტებისთვის შეჯიბრებაზე აუცილებელია თეთრი და ლურჯი ფერის კიმონოს ქონა.
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- აკრძალულია ძიუდოისტებისთვის წონის კლება წონით კატეგორიაში მოსახვედრად. ძიუდოისტმა შეიძლება დაიკლოს მაქსიმუმ 1 (ერთი) კილოგრამი. ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მკაცრად იქნება გაკონტროლებული მონაწილეთა წონები და შესაძლებელია კონტროლი შეჯიბრების მიმდინარეობის დროსაც. იმ მწვრთნელთა მიმართ, რომელთა ძიუდოისტებიც დაარღვევენ წონის კლების დებულებას, ფედერაცია გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ათაბეგაშვილი